

შეფასების სქემა საგანში - ფიზიკური აღზრდა და სპორტი, 2021 წელი

ვარიანტი I

დავალება 1. - 27. თოთოეული დავალების სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

- | | |
|-------|-------|
| 1. გ | 15. დ |
| 2. ბ | 16. გ |
| 3. ა | 17. ბ |
| 4. დ | 18. ა |
| 5. ბ | 19. დ |
| 6. დ | 20. ბ |
| 7. ბ | 21. ა |
| 8. ა | 22. გ |
| 9. გ | 23. გ |
| 10. ა | 24. ბ |
| 11. ბ | 25. დ |
| 12. გ | 26. ა |
| 13. დ | 27. გ |
| 14. ა | |

ღია დავალებები 28. – 32.

დავალება 28.

დავალების თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 4 ქულა.

დავალების პირველ კითხვაში, აპლიკანტს მოეთხოვება წარმოდგენილი ორი სურათიდან შეარჩიოს ვარჯიშის შესრულების სწორი ვარიანტი.

სწორი პასუხი - ვარიანტი N 2.

დავალების მეორე კითხვაში, აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ცხრილში **ჯანმრთელობის ნებისმიერი სამი პრობლემა**, რაც შეიძლება გამოიწვიოს დაწყებითი კლასის მოსწავლეებში მძიმე ტვირთით ვარჯიშმა.

სწორი პასუხების ვარიანტები:

სახსრების დაზიანება, იოგების დაზიანება, მყესების დაზიანება, კუნთების დაჭიმვა, ძვლის ზრდის ზონების დაზიანება, სიმაღლეში ზრდის შეჩერება, ტანადობის დარღვევა, ხერხემლის მალეების დაზიანება ან დისკოზი, ხერხემლის თიაქარი.

დავალება 29.

დავალების თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 3 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ცხრილში **3 აუცილებელი ქმედება**, რომლებიც უნდა გამოიყენოს დავალებაში წარმოდგენილი პრობლემების მოსაგვარებლად.

ვინაიდან, დავალებაში არის მინიშნება იმის შესახებ, რომ ჭრილობიდან სისხლდენა დაიწყო **მცირე მოცულობის სისხლის ნაკადით**, აპლიკანტმა უნდა განსაზღვროს, რომ ადგილი აქვს კაპილარულ სისხლდენას. თუმცა, დავალება არ მოითხოვს აპლიკანტისგან ჩაწეროს სისხლდენის სახეობა, დავალების პირობა მოითხოვს, რომ ჩაწეროს აუცილებელი ქმედებები პრობლემის მოსაგვარებლად. შესაბამისად, სწორ პასუხებში უნდა ჩაიწეროს კაპილარული სისხლდენის შეჩერებისთვის საჭირო ქმედებები.

დავალებაში ასევე მითითებულია, რომ **სისხლის წვეთები დაეცა სპორტულ აღჭურვილობაზე**. შესაბამისად, აპლიკანტმა უნდა განსაზღვროს, რომ სისხლით დაბინძურებული სპორტული აღჭურვილობა წარმოადგენს პრობლემას **სისხლით გადამდები რომელიმე დაავადების გავრცელებისთვის**. ამდენად, სწორ პასუხებში უნდა ჩაწეროს რას მოიქმედებს იმისთვის, რომ დაბინძურებული აღჭურვილობა არ გახდეს სისხლით გადამდები რომელიმე დაავადების გავრცელების მიზეზი.

სწორი პასუხის ვარიანტები:

1. ჭრილობის გასუფთავება წყლით და საპნით ან ნებისმიერი ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავება;
2. ჭრილობის შეხვევა, ან დამცავი პლასტიკის დაკვრა;

3. აღჭურვილობის გარეცხვა ან სადეზინფექციო ხსნარით გასუფთავება ან გატანა სავარჯიშო მოედნიდან.

დავალება 30.

დავალების თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 3 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს მცირე წონის ბურთის ცალი ხელით ტყორცნის შემსწავლელი ნებისმიერი 3 ვარჯიში, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტანდარტით სკოლის საბაზო საფეხურზე:

სწორი პასუხების ვარიანტები:

1. ადგილიდან ტყორცნა;
2. მუხლზე დგომით ტყორცნა;
3. სამ ნაბიჯიან რიტმში ტყორცნა;
4. ხუთ ნაბიჯიან რიტმში ტყორცნა.

დავალება 31.

დავალების თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 5 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ტანვარჯიშის 5 სტატიკური ვარჯიშის დასახელება.

სწორი პასუხების ვარიანტები: წონასწორობა ცალ ფეხზე - „მერცხალა“, ჩოქბჯენი, ზონარა, ბუქნბჯენი, ხიდი, ხელყირა, თავყირა, ბეჭყირა, „პლანკა“, სტატიკური ვარჯიშები ბჯენში და კიდში სატანვარჯიშო იარაღებზე.

დავალება 32.

თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 4 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ხელის წყლით და საპნით სწორი ტექნიკით დაბანის 4 აუცილებელი ქმედება.

სწორი პასუხების ვარიანტები:

1. ხელის დასველება წყლით;
2. საპნის წასმა ან საპნის გადანაწილება ხელებზე;
3. ხელების (თითების, ფრჩხილების, ცერების, მაჯების) დამუშავება ან გაქაფვა საპნით 20 წმ. და მეტი;
4. საპნის ჩამორეცხვა ან ჩამობანა გამდინარე წყლით;
5. ხელის კარგად გამშრალება.

დავალება 33. – 36. „ჭეშმარიტია - მცდარია“.

სწორი პასუხი ფასდება 1 ან 2 ქულით.

იმ შემთხვევაში, თუ დავალებაში - „მცდარია“- აღნიშვნა გაკეთებულია სწორად, მაგრამ არ არის ჩაწერილი სწორი ფორმულირება, იწერება 1 ქულა, იმ შემთხვევაში თუ ფორმულირებაც სწორია -2 ქულა. თუ აღნიშვნა და ფორმულირება არ ემთხვევა ერთმანეთს იწერება 0 ქულა. დავალება „ჭეშმარიტია“ სწორი ფორმულირების ჩაწერას არ მოითხოვს, რამეთუ სწორი ფორმულირება ისედაც დავალების პირობაშია მოცემული, საჭიროა მხოლოდ აღნიშვნის გაკეთება, სწორი პასუხი ფასდება 2 ქულით.

დავალება 33 .

დავალებაში მოცემული დებულება მცდარია.

აპლიკანტს მოეთხოვება მონიშნოს შესაბამისი უჯრა აღნიშვნით „მ“(მცდარია) და ჩაწეროს სწორი განმარტება.

სწორი პასუხი: განმავითარებელი შეფასების ნაცვლად უნდა ეწეროს „განმსაზღვრელი“ შეფასება.

დავალება 34.

დავალებაში მოცემული დებულება მცდარია.

აპლიკანტს მოეთხოვება მონიშნოს შესაბამისი უჯრა აღნიშვნით „მ“(მცდარია) და ჩაწეროს სწორი განმარტება.

სწორია შემდეგი განმარტება: ოლიმპიური ქარტიით, შეთანხმების გარეშე, დაუშვებელია ან აკრძალულია ოლიმპიური სიმბოლოების ნებისმიერი კომერციული მიზნით გამოყენება. ან ოლიმპიური ქარტიით სიმბოლოების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შეთანხმებით.

დავალება 35.

დავალებაში მოცემული დებულება ჭეშმარიტია.

აპლიკანტს მოეთხოვება მონიშნოს მხოლოდ შესაბამისი უჯრა აღნიშვნით „ჭ“ (ჭეშმარიტია).

დავალება 36.

დავალებაში მოცემული დებულება ჭეშმარიტია.

აპლიკანტს მოეთხოვება მონიშნოს მხოლოდ შესაბამისი უჯრა აღნიშვნით „ჭ“ (ჭეშმარიტია).

დავალება 37.- 40. შესაბამისობის დადგენა.

თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 4 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება შეუსაბამოს A სვეტში მოცემული პირობები B სვეტში მოცემულ სავარაუდო პასუხებს. ერთ პირობას მხოლოდ ერთი პასუხი შეესაბამება.

სწორი პსუხები:

დავალება 37.

დავალება 38

1 - დ

1 - დ

2 - გ

2 - ბ

3 - ბ

3 - გ

4 - ე

4 - ა

დავალება 39

დავალება 40.

1 - ბ

1 - ბ

2 - ე

2 - ვ

3 - ა

3 - ა

4 - დ

4 - დ